ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7117385

ნომერი: AR11044075

თარიღი : 25.06.2024

გაცემის თარიღი : 05.07.2024

გაცნობის თარიღი : 05.07.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N 46;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ლოლაშვილი პ/ნ 01008008282
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 08 იანვრის №6831741 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 25 ივნისს №AR11044075 განცხადებით მომართა ზურაბ ლოლაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 08 იანვრის

№6831741 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 08 იანვრის №6831741 ბრძანებით №01.10.06.001.205 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 8 იანვრიდან 2026 წლის 8 იანვრის ჩათვლით.
სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6900983 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6831741 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდა 4218.1 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 1066.9 კვ.მ., საერთო ფართობად - 30674.7 კვ.მ. აგრეთვე, სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6831741 ბრძანებით შეთანხმებული -5.080 და „-4.000 და -2.200“ ნიშნულების არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდა 2024 წლის 07 თებერვლის №AR11014607 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული არქიტექტურული გეგმებით (მე-2 და მე-4 გვერდები).
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 08 იანვრის №6831741 ბრძანებით შეთანხმებულ პროექტში გეგმებზე არასწორად აისახა მე-3 ბლოკის ბინა №101 და ბინა №104 ფართობები. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას და ამასთან, ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 20686.5 კვ.მ-ის ნაცვლად 20681.3 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 2688.3 კვ.მ-ის ნაცვლად 2672.7 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 30639.4 კვ.მ-ის ნაცვლად 30653.9 კვ.მ-ის დაფიქსირებას. აგრეთვე, წარმოდგენილი გეგმის ჩანაცვლებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმები და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში გეგმებზე არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 08 იანვრის №6831741 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 08 იანვრის №6831741 ბრძანებაში და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 20681.3 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 2672.7 კვ.მ., საერთო ფართობად დაფიქსირდეს - 30653.9 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 08 იანვრის №6831741 ბრძანებით შეთანხმებული სართულის გეგმა 0.000, -1.500 და +1.000 ნიშნულებზე ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული ამავე ნიშნულების (გვერდი მე-2) გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 08 იანვრის №6831741 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 08 იანვრის №6831741 და სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6900983 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.